# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13-242

03.09.2013 წ                                                                 ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უჩა მოძუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გზამშენი_4“ (შემდგომში–მიმწოდებელი) “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

   1.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს თანამშრომელთა ჯგუფი: სსიპ სსსტც „დელტა“-ს მთავარი ინჟინრის მოადგილე ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ლევან ხომერიკი.

   1.2. ჯგუფის ფუნქციებია:

   1.2.1. შესასრულებელი და/ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება;

   1.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

   2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 13170.16 (ცამეტიათას ასსამოცდაათი და 16) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

   2.2. ამ მუხლის 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომელიც შეიძლება დაზუსტდეს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. **ხელშეკრულების ობიექტი**

   3.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი N1-ით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება (შემდგომში - სამუშაო).

   3.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სამუშაოს შესრულების გაწევის პირობები

4.1. სამუშაოს შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სექტემბრისა.

4.2. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება–ჩაბარება განხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტისა ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

6.3. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება, შამუშაოს შესრულების შემდეგ, 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.1.2. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკურლების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1. მიიღოს შესრულებული სამუშაოსთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით; განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

10.1.1. მხარეთა შეთანხმება;

10.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

10.1.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

10.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით.
12.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ერთი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

**მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი:

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი „დელტა"
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73
ტელ./ფაქსი: 2955 027
საიდენტიფიკაციო კოდი №202297335
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
საბანკო კოდი (220101502) BAGAGE 22
ა.ა GEO4BG0000000120236700

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

_______________ [illegible] მოშიაშვილი

"03" 09 2013 წ.

მიმწოდებელი:

შპს „გზამშენი_4"
მისამართი: რუსთავის გზატკეცილი 247
ს/კ 204388402
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა.ა GE94BG0000000122918100

გენერალური დირექტორი

_______________ რეზო ჩახვაშვილი

"03" 09 2013 წ.

## 2013 წლის 3 სექტემბრის №13-242 ხელშეკრულების დანართი №1

| N | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | ერთ. ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | არსებული ცემენტობეტონის მონგრევა პნევმატური ჩაქუჩით საშ. სისქით 5 სმ, ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 17,60 | | 19,26 |
| | | მ³ | 0,90 | 21,40 | |
| 2 | ნაწიბურების მოჭრა პნევმატური ჩაქუჩით | გრძ/მ | 11,70 | 0,50 | 5,85 |
| 3 | ტერიტორიის დასუფთავება ცოცხით | მ² | 140,00 | 0,50 | 70,00 |
| 4 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ/მ | 11,70 | 1,00 | 11,70 |
| 5 | თხევადი ბიტუმის მოხსნა არსებული ემულსიით | მ² | 140,00 | | 80,00 |
| | | ტ | 0,08 | 1000,00 | |
| 6 | საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4 სმ | მ² | 140,00 | 16,51 | 2311,40 |
| | | ტ | 13,60 | | |
| 7 | დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 160,00 | | 171,20 |
| | | მ³ | 8,00 | 21,40 | |
| 8 | ორმოების შევსება ფრაქციული ღორღოთი საშ. სისქით 5 სმ | მ² | 75,00 | | 117,50 |
| | | მ³ | 4,70 | 25,00 | |
| 9 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ/მ | 224,00 | 1,00 | 224,00 |
| 10 | საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4 სმ | მ² | 160,00 | 16,51 | 2641,60 |
| | | ტ | 15,60 | | |
| 11 | არსებული ასფალტობეტონის ჩამოჭრა პნევმოჩაქუჩებით | გრძ/მ | 31,40 | 0,50 | 15,70 |
| 12 | დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 144,00 | | 154,08 |
| | | მ³ | 7,20 | 21,40 | |
| 13 | შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 2 სმ | მ² | 30,00 | | 254,24 |
| | | ტ | 1,50 | 169,49 | |
| 14 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ/მ | 31,40 | 1,00 | 31,40 |
| 15 | თხევადი ბიტუმის მოხსნა არსებულ საფუძველზე | მ² | 290,00 | | 170 |
| | | ტ | 0,17 | 1000,00 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4 სმ | მ² | 290,00 | 16,51 | 4787,90 |
| | | ტ | 28,30 | | |
| 17 | ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 3 სმ | მ² | 7,50 | 12,71 | 95,33 |
| | | ტ | 0,50 | | |
| მთლიანი ჯამი დღგ-ს გარეშე | | | | | 11161,15 |
| დღგ 18% | | | | | 2009,01 |
| საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით | | | | | 13170,16 |

შემსყიდველი:

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

საიდენტიფიკაციო კოდი № 202297335

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

______________ [illegible]ბა მოძუაშვილი

“____” ______________ 2013 წ

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „გზამშენი_4“

საიდენტიფიკაციო კოდი №204388402

გენერალური დირექტორი

______________ რეზო ჩახვაშვილი

“ 04 ” ______ 09 ______ 2013 წ

## მიღება – ჩაბარების
## აქტი №

ქ. თბილისი სექტემბერი 2013 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „შემსყიდველად“ წოდებული, სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უჩა ძოძუაშვილის სახით, და მეორეს მხრივ „მიმწოდებლად“ წოდებული, შპს „გზამშენი–4“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის რეზო ჩახვაშვილის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოების აქტით ქ.თბილისში, სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" ეზოს და აეროდრომის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები შესრულებულია სექტემბრის თვეში 2013 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

შესრულებული სამუშაოების ფაქტიური ღირებულება შეადგენს 11 990,46 (თერთმეტიათას ცხრაასოთხმოცდაათი ლარი) მათ შორის დღგ – 1829,05ლარი.

**„შემსყიდველი“**

**სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"**
მისამართი: ქ.თბილისი,მნათობიძის ქ.#73
საიდ. კოდი: 202297335
სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფ
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE04BG0000000120236700

**„მიმწოდებელი“**

**შპს „გზამშენი–4“**
მის.: რუსთავის გზატკეცილი №247
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდ. კოდი: 204388402
ა/ა GE94BG0000000122918100

სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
უჩა ძოძუაშვილი

______________________

გენერალური დირექტორი:
რეზო ჩახვაშვილი

______________________

## სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

ხელშეკრულების დასახელება ქ.თბილისში, სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" ეზოს და აეროდრომის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

ხელშეკრულება № 13-242 და თარიღი: 03.09.2013წ.

დამკვეთი *სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"*

შემსრულებელი *შ.პ.ს. "გზამშენი-4"*

ობიექტის დასახელება

ქ.თბილისში, სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა" ეზოს და აეროდრომის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

შესრულების თარიღი: სექტემბერი 2013წ.

## შესრულებული სამუშაოს მიღების

### აქტი

სექტემბერი 2013 წელი

| № | სამუშაოს სახეობა | განზომილების ერთეული | გათვალისწინებულია კონტრაქტით | | | მათ შორის საანგარიშო პერიოდში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება ლარი | მთლიანი ღირებულება ლარი | რაოდენობა | ღირებულება ლარი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 9 | 10 |
| 1 | არსებული ცემენტობეტონის მონგრევა პნევმატური ჩაქუჩებით საშ.სისქით 5სმ, ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 17,60 | | | | |
| | | მ³ | 0,90 | 21,40 | 19,26 | 0,90 | 19,26 |
| 2 | ნაწიბურების მოჭრა პნევმატური ჩაქუჩით | გრძ.მ | 11,70 | 0,50 | 5,85 | 11,70 | 5,85 |
| 3 | ტერიტორიის დასუფთავება ცოცხით | მ² | 140,00 | 0,50 | 70,00 | 152,00 | 76,00 |
| 4 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ.მ | 11,70 | 1,00 | 11,70 | 11,70 | 11,70 |
| 5 | თხევადი ბიტუმის მოსხმა არსებულ საფუძველზე | მ² | 140,00 | | | 152,00 | |
| | | ტ | 0,08 | 1000,00 | 80,00 | 0,09 | 90,00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4სმ | მ² | 140,00 | 16,51 | 2311,40 | 152,00 | 2509,52 |
| | | ტ | 13,60 | | | 14,80 | |
| 7 | დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 160,00 | | | 107,00 | |
| | | მ³ | 8,00 | 21,40 | 171,20 | 5,35 | 114,49 |
| 8 | ორმოების შევსება ფრაქციული ღორღოთ საშ.სისქით 5სმ | მ² | 75,00 | | | 75,00 | |
| | | მ³ | 4,70 | 25,00 | 117,50 | 4,70 | 117,50 |
| 9 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ.მ | 224,00 | 1,00 | 224,00 | 150,00 | 150,00 |
| 10 | საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4სმ | მ² | 160,00 | 16,51 | 2641,60 | 107,00 | 1766,57 |
| | | ტ | 15,60 | | | 10,43 | |
| 11 | არსებული ასფალტობეტონზე ნაწიბურების ჩამოჭრა პნევმოჩაქუჩებით | გრძ.მ | 31,40 | 0,50 | 15,70 | 31,40 | 15,70 |
| 12 | დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და ტრანსპორტირება ნაყარში | მ² | 144,00 | | 0,00 | 144,00 | 0,00 |
| | | მ³ | 7,20 | 21,40 | 154,08 | 7,20 | 154,08 |
| 13 | შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 2სმ | მ² | 30,00 | | 0,00 | 30,00 | 0,00 |
| | | ტ | 1,50 | 169,49 | 254,24 | 1,50 | 254,24 |
| 14 | ნაწიბურების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | გრძ.მ | 31,40 | 1,00 | 31,40 | 31,40 | 31,40 |
| 15 | თხევადი ბიტუმის მოსხმა არსებულ საფუძველზე | მ² | 290,00 | | | 278,00 | |
| | | ტ | 0,17 | 1000,00 | 170,00 | 0,16 | 160,00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ...აფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4სმ | მ² | 290,00 | 16,51 | 4787,90 | 278,00 | 4589,78 |
| | | ტ | 28,30 | | | 27,10 | |
| 17 | ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 3სმ | მ² | 7,50 | 12,71 | 95,33 | 7,50 | 95,33 |
| | | ტ | 0,50 | | | 0,50 | |
| | მთლიანი ჯამი | | | | 11161,15 | | 10161,41 |
| | დღგ 18% | | | | 2009,01 | | 1829,05 |
| | მთლიანი ღირებულება | | | | 13170,16 | | 11990,46 |

დამკვეთი:

სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /უჩა ძოძუაშვილი/

შემსრულებელი :

შპს"გზამშენი-4"-ის

გენ.დირექტორი: /რ.ჩახვაშვილი/